

**კითხვებს ლიტურგიკულ საკითხებზე პასუხობს**  
**ფილოლოგიისა და თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, ბელატიის**  
**მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი**  
**დეკანოზი ბიძინა გუნია**

- ა) ინფორმაცია ლიტურგიკულ საკითხებზე შეგიძლიათ მოიძიოთ საპატრიარქოს განათლების ცენტრის ვებ-გვერდზე – „ცნობარი მედავითნეებისთვის“ <http://venakhi.ge/medavitne.html>  
ბ) კითხვები თქვენთვის საინტერესო ლიტურგიკულ საკითხებზე გამოგზავნეთ ელ-ფოსტაზე: [davati@venakhi.ge](mailto:davati@venakhi.ge) ან [svetitskhoveli@gmail.com](mailto:svetitskhoveli@gmail.com)  
გ) ინფორმაცია და პასუხები გარდა ზემოაღნიშნული ვებ-გვერდისა, იხილეთ აგრეთვე „ფეისბუქზე“ - მამა ბიძინა გუნია.

შენიშვნა: იხ. „საპატრიარქოს უწყებანი“ –  
№36 (695) 31.10-6.11.2013წ. გვ. 4 და №37 (696) 7-13-11.2013წ. გვ. 5.

**კითხვა 8:** რა არის „უმცირესი“ და რამდენად აუცილებელია მისი წაკითხვა ღვთისმსახურების აღსრულებისას?

**პასუხი:** „უმცირესად“ იწოდება 10 ბიბლიური საგალობელი, რომელთა მუხლებიც სათანადო წესით ჩაერთვის საცისკრო კანონთა 9 ოდას (საგალობელს).

ბიბლიურ საგალობელთა – „უმცირესის“ მუხლები მოცემულია ძველი და ახალი აღთქმის შემდეგ წიგნებში:

- I გალობა – „უგალობდითსა“ (გამოსვლათა, XV, 1-9);
- II გალობა – „მოიხილესა“ (მეორე შჯულისა, XXXII, 1-43);
- III გალობა – „განძლიერდასა“ (I მეფეთა, II, 1-10);
- IV გალობა – „უფალო მესმასა“ (წინასწარმეტყველება ამბაკუმისი, III, 1-19);
- V გალობა – „ღამითგანსა“ (წინასწარმეტყველება ესაიასი, XXVI, 9-19);
- VI გალობა – „ღალადყავსა“ (წინასწარმეტყველება იონასი, II, 3-10);
- VII გალობა – „კურთხეულარსსა“ (წინასწარმეტყველება დანიელისი, III, 26-55);
- VIII გალობა – „აკურთხევდითსა“ (წინასწარმეტყველება დანიელისი, III, 57-88);
- IX გალობა – „ადიდებდითსა“ (სახარება ლუკასი, I, 46-55);
- X გალობა – წინასწარმეტყველება ზაქარიასი (სახარება ლუკასი, I, 68-79);

საეკლესიო ტიპიკონის მოთხოვნათა შესაბამისად „უმცირესის“ კითხვა (გალობა) მთელი წლის განმავლობაში აღესრულება, გარდა ვნების შვიდეულისა და ბრწყინვალე შვიდეულისა.

მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებაში „უმცირესის“ საგალობელთა ჩართვის ორი ძირითადი წესია დადგენილი:

- „უგალობდით უფალსა“ და
- „უფალსა უგალობდით“.

პირველი მათგანი გულისხმობს „უმცირესის“ კითხვის წესს სადღესასწაულო მსახურებისას, როგორცაა კვირისა და მაღალი რანგის მსახურებები, ხოლო მეორე კი – არა სადღესასწაულო მსახურებებზე ანუ დიდმარხვასა და სადაგ დღეებში I და II რანგის მსახურებათა აღსრულებისას.

დღევანდელ საეკლესიო პრაქტიკაში, არცთუ იშვიათად, უმცირესთა კითხვა მხოლოდ დიდმარხვის პერიოდში აღესრულება, ხოლო წლის სხვა დროს მათ ნაცვლად **იმპროვიზირებული** ჩასართავეები გამოიყენება (ასე მაგალითად: 1. წმიდაო დიდო მღვდელმთავარო ნიკოლოზ ევედრე ღმერთსა ჩვენთვის; 2. დიდება უფალო პატიოსანსა ჯვარსა და წმიდასა აღდგომასა შენსა, და მრავალი სხვა...), რაც რა თქმა უნდა არამართებულია.

სამწუხაროა, რომ აღნიშნული იმპროვიზირებული ჩასართავების საღვთისმსახურო პრაქტიკაში გამოყენების გამო, თითქმის დავიწყებასაა მიცემული „უმცირესის“ კითხვა (გალობა), რომელიც ღოცვის აუცილებელ და განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ასე განვსაჯოთ.

სადღეღამისო ციკლის მსახურებათა ერთ-ერთ მთავარ სტრუქტურულ მახასიათებელს ძველი და ახალი აღთქმის საკითხავების მონაცვლეობა წარმოადგენს. ამგვარად, ამ მსახურებათა აღსრულებისას, საღმრთო ისტორიის ლიტურგიკული თხრობის, ადამიანთა ხსნის საღმრთო განგებულების ამსახველ უმთავრეს სიმბოლურ ქმედებათა თანადროულად, მონაცვლეობით, ჯერ ძველი, ხოლო შემდეგ კი ახალი აღთქმის ჰიმნოგრაფიული ტექსტები (ღოცვები) იკითხება. ასე მაგალითად:

ა) მწუხრის ჟამნის მსახურებაზე საგალობლის „უფალო დაღად-ვჰყავის“ აღსრულების შემდეგ ვკითხულობთ 140-ე, 141-ე, 129-ე და 116-ე ფსალმუნებს (ანუ ძველი აღთქმის საკითხავებს), რომელთა მუხლებშიც ჩაგურთავთ დასდებლებს „უფალო დაღად-ვჰყავისა“ ზედა: პარაკლიტონიდან, თვენიდან, საღღესასწაულოდან, მარხვანიდან ან ზატიკიდან (რომლებიც ახალი აღთქმის ჰიმნოგრაფიულ საგალობლებს – საკითხავებს წარმოადგენენ);

ბ) ცისკრის ჟამნის მსახურებაზე, მის პირველ ნაწილში, შემდგომად დავითნის კანონებისა (ძველი აღთქმის საკითხავები), იკითხება წარდგომები შემდგომად სტიხოლოდიებისა (ანუ ახალი აღთქმის ჰიმნოგრაფიული ტექსტები);

გ) საღმრთო ლიტურგიაზე აღსასრულებელი ანტიფონებიც ძველი და ახალი აღთქმის საგალობლების ერთობლიობას წარმოადგენენ.

იგივე ითქმის ცისკრის ჟამზე „აქებდითსა ზედა“ დასდებელთა, საცისკრო კანონთა 9 ოდის (საგალობლის) და სხვათა მიმართაც.

ამდენად, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ „უმცირესის“ ნაცვლად იმპროვიზირებული ჩასართავების გამოყენება, არღვევს საღვთისმსახურების უმთავრესი მსახურების (ცისკრის ჟამნის) სტრუქტურას. აი, რას წერს ყოველივე ამის შესახებ ცნობილი ლიტურგისტი **ს.ვ. ბულგაკოვი** თავის ცნობილ წიგნში „სამაგიდო წიგნი ეკლესიის მსახურთათვის“: „... და საერთოდ ზოგნი ურჩევენ კიდევ, რათა საღღესასწაულო დღეებში საცისკრო კანონთა ტროპრებს ბიბლიურ საგალობელთა მუხლების ნაცვლად სპეციალური ჩასართავები ჩაურთონ ... ზემოთ ხსენებული პრაქტიკა ბიბლიური საგალობლების ნაცვლად სპეციალური ჩასართავების გამოყენებისა არ შეესაბამება ტიპიკონის მოთხოვნებს“ (С.В. Булгаков – Настольная книга священно-церковно-служителя, т. I, 1993г., გვ. 868).